საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
თვითმმართველობა და განვითარება
www.intellect.org.ge
№21 / 2012

# სტრატეგიული გეგმის განხილვა ხულოს მუნიციპალიტეტში



31 მაისს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ ხულოს მუნიციპალიტეტში, საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელიც პროექტის „აჭარის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობის გაძლიერება გრძელვადიანი, მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში შედგა. შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ხულოს მუნიციპალიტეტის 2012-2022 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის განხილვა. გეგმა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა ერთობლივად, სამუშაო ჯგუფებთან ერთად, შეიმუშავა. სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილია საზოგადოებრივი და ეკონომიკური სფეროს ყველა ასპექტი: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, გადამამუშავებელი მრეწველობა, ბუნებრივი რესურსები, განათლება, კულტურა, სპორტი და ა.შ.

შეხვედრას ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე ლევან გობაძე უძღვებოდა. მან ისაუბრა სტრატეგიული გეგმის მნიშვნელობასა და მის როლზე მუნიციპალიტეტის განვითარებაში. შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში წარიმართა.

შეხვედრის მონაწილეების მიერ აღინიშნა, რომ ძალიან შრომატევადი საქმეა ჩატარებული და სტრატეგიულ გეგმაში სრულყოფილად არის ასახული მუნიციპალიტეტის პოტენციალი და განვითარების რეალური გზები.



**ხულოს გამგებლის მოადგილე გივი ქედელიძე** ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა დღემდე არ გააჩნდათ: „მიმაჩნია, რომ დღეიდან ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტის წყალობით სტრატეგიული ხედვის ოპტიმირება ბევრად მოხერხებულად შეგვეძლება, რადგან გვაქვს ათწლიანი, კარგად არგუმენტირებული სამოქმედო გეგმა იმის შესახებ, თუ საით არის უმჯობესი წასვლა. გეგმაში მოცემულია პრაქტიკულად ყველა სფერო, რაც ძალიან კვალიფიციურადაა შესრულებული. დარწმუნებული ვარ, ეს სიახლე მუნიციპალიტეტის ნებისმიერ სამსახურს ძალიან გაუადვილებს მუშაობას. მასში, მე პირადად, ბევრი ისეთი რამ აღმოვაჩინე, რისი გაკეთების შესაძლებლობაც აქამდე ნაკლებად გვქონდა წარმოდგენილი. მადლობელი ვართ „ინტელექტის“ მთელი გუნდის. ბევრ არასამთავრობოსთან ვთანამშრომლობთ, მემორანდუმიც არაერთ ორგანიზაციასთან გაგვიფორმებია, მაგრამ ხანგრძლივი თანამშრომლობა და ასეთი ხელშესახები შედეგი არავისთან გვქონია. კიდევ ბევრი რამ არის ჩვენს მუნიციპალიტეტში გასაკეთებელი, რაშიც ინტელექტის დახმარების დიდი იმედი გვაქვს.“

შეხვედრით კმაყოფილია **ხულოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ემზარ აბულაძე**: „კარგი შეხვედრა გამოვიდა, რადგან შევძელით ერთმანეთისთვის აზრის გაზიარება და რიგ საკითხებზე საბოლოოდ ჩამოყალიბება. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმაში ნათლად ჩანს, თვითმმართველობამ რა მიმართულებით უნდა გააგრძელოს მუშაობა. ბოლო წლებია სოციალურ-ეკონომიკური კუთხით ბევრი რამ გავაუმჯობესეთ, მაგრამ დღეს კიდევ ბევრ შესაძლებლობას გავუსწორეთ თვალი. ორი წელია „ინტელექტი“ და ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ერთობლივად ვმუშაობთ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე, დღეს განვიხილეთ კიდევ ერთი ვერსია, კიდევ ერთხელ შევჯერდით დეტალებზე და სულ მალე დაიდება ხულოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლითაც განისაზღვრება ჩვენი მუშაობის შემდგომი პერსპექტივები სხვადასხვა მიმართულებით.“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ **„ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე, ლევან გობაძე** მიიჩნევს, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში ჩატარებული საჯარო განხილვა რამდენიმე ნიშნით იყო გამორჩეული: „პირველი და ყველაზე უმთავრესია ალბათ თვით ფაქტი, რომ ეს საჯარო განხილვა იყო პრეცედენტი ჩვენი რეგიონის რეალობაში, როდესაც მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა გამოტანილ იქნა განხილვაზე ფართო საზოგადოების წინაშე.

მეორე ნიშანდობლივი ფაქტი იყო ის, რომ საჯარო შეხვედრა ჩატარდა ინტერაქტიური დიალოგის რეჟიმში და არა – მონოლოგის, რომელიც ასეთი შეხვედრების უმეტეს ნაწილს ახასიათებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ საზოგადოების ინტერესი საკუთარი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების მიმართ დიდია და საზოგადოება მზად არის, მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესებში.

**P.S. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ მომდევნო კვირაში განხილვებს ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებშიც გეგმავს, სადაც წარმოდგენილი იქნება აღნიშნული მუნიციპალიტეტებისათვის შედგენილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები.**

მასალა განთავსებულია სარეკლამო ფართობზე. გამოქვეყნებული ტექსტის შინაარსსა და სიზუსტეზე გაზეთი „ბათუმელები“ პასუხისმგებელი არ არის

# ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად

*პროექტის „აჭარის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის“ დასრულებამდე ცოტა დრო დარჩა, სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, თვალი გადაგვევლო იმ საქმიანობებზე, რომლებიც პროექტის ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ დაგეგმა და განახორციელა.*

*თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ პროექტი თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბურობით, არა მხოლოდ აჭარის რეგიონში, საქართველოშიც უპრეცედენტოა. 2010 წლის თებერვლიდან დღემდე უამრავი ადამიანი ძალიან დიდ ძალისხმევას ხარჯავს, იმისათვის, რომ პროექტი წარმატებულად განხორციელდეს და საბოლოო შედეგით დაინტერესებული საზოგადოება, მონაწილე მხარეები და მოსახლეობა კმაყოფილი დარჩეს. ორი წლის მანძილზე პროექტის ფარგლებში აქტივობების მთელი კომპლექსი იქნა რეალიზებული.*



ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი ქედის მუნიციპალიტეტში

### მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები

ათწლიანი განვითარების სტრატეგია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამ პერიოდში მუნიციპალიტეტში განხორციელებული სოციალური და ეკონომიკური აქტივობების ეფექტური კოორდინაციის ხარჯზე დაბალანსებული განვითარება და ეკონომიკური ზრდა, აჭარის ყველა მუნიციპალიტეტისათვის შემუშავდა.

ოთხი მუნიციპალიტეტისათვის სტრატეგიული დოკუმენტი უკვე დასრულებულია, რაც შეეხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს, აქ გარკვეული პრობლემაა შექმნილი სტატისტიკური ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ხელვაჩაურის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი საკუთრებაში ქ. ბათუმს გადაეცა, შედეგად ვერ ხერხდება ახალ ტერიტორიულ საზღვრებთან ადეკვატური, სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. ამჟამად მიმდინარეობს ინფორმაციის განახლება, რაც განაპირობებს მოცემული დოკუმენტის ახლო მომავალში დასრულებას.

გეგმების შემუშავებას წინ უსწრებდა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, რომლის შემდეგაც მოხდა მუნიციპალიტეტების შემდეგი ძირითადი რესურსების ანალიზი: ბუნებრივი რესურსები, დემოგრაფია, ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო, განათლება, კულტურა, სპორტი, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი – რამაც საბოლოოდ ასახვა ჰპოვა სტრატეგიულ დოკუმენტში. სტრატეგიულ ნაწილთან ერთად დამუშავდა ცალკეული პროექტები. ამასთან, პროექტის დასრულებამდე თითოეული მუნიციპალიტეტისათვის მომზადდება საინვესტიციო პასპორტები და მარკეტინგული გეგმები.

### ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები

სტრატეგიული განვითარების შიგნით პირველი ნაბიჯი თვითმმართველობის თანამედროვე ცენტრით აღჭურვა იყო.

მოქალაქეთა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლების ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურების მიზნით, აჭარის ოთხი მუნიციპალიტეტისგამგეობისა და საკრებულოს საქმისწარმოების განყოფილებების ბაზაზე, შეიქმნა ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი სტრუქტურა. (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მსგავსი ცენტრი ადრეც ფუნქციონირებდა, აქ „ინტელექტმა“ მხოლოდ კომპიუტერული პროგრამა „ელექტრონული ასისტენტი“ დანერგა)

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა სპეციალურად შეიმუშავა და აღნიშნულ სამსახურებში დანერგა პროგრამა „ელექტრონული ასისტენტი“, რომლითაც შესაძლებელია მუნიციპალური ცენტრების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება.

აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებებისა და ოფიციალური კორესპონდენციების ერთიან ელექტრონულ ბაზაში თავმოყრას, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს ინფორმაციის გადამისამართება გამგეობისა და საკრებულოს სხვადასხვა სამსახურებზე. პროგრამა იძლევა შესაძლებლობას, განცხადებებზე მომზადებული პასუხები გაცემული იქნას ერთი ფანჯრის სამსახურის მიერ, სადაც თავის მხრივ, აკუმულირდება ინფორმაცია თვითმმართველობის ყველა სამსახურიდან.

### მუნიციპალური მომსახურების სტანდარტები

მოსახლეობისათვის და კომერციული ორგანიზაციებისათვის კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად და თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის, პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა შეიმუშავა მომსახურების სტანდარტები (სულ შემუშავებული იქნა 39 სტანდარტი), რომელიც სამომავლოდ საკრებულოსა და გამგეობას საშუალებას მისცემს, გაზარდოს მოსახლეობისთვის მუნიციპალური მომსახურების მიწოდების ხარისხი.

უნდა აღინიშნოს, რომ სანამ „ინტელექტის“ ექსპერტები მომსახურების სტანდარტებზე დაიწყებდნენ მუშაობას, მუნიციპალიტეტებში შესწავლილ იქნა დოკუმენტბრუნვის სქემები, სამსახურების დებულებები, მუნიციპალურ ბიუჯეტში გაწერილი მიზნობრივი პროგრამები და მომზადდა შესაბამისი დასკვნები, რომლეთა საფუძველზეც მოხდა მომსახურების სტანდარტების შემუშავება. მართალია არის სფეციფიკური საკითხები, რომლებიც მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ სტანდარტებით გაწერილია დეტალური პროცედურები, რომელსაც ინსტრუქციის სახე აქვს. შედეგად, მოქალაქეებისთვისაც იოლი გასაგები იქნება, თუ როგორ მიიღება ესა თუ ის გადაწყვეტილება. მოსახლეობა სტანდარტების საშუალებით შეძლებს, ობიექტურად შეაფასოს მომსახურების ხარისხი და განახორციელოს მათი მონიტორინგი.




### საინფორმაციო პორტალები

ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს დღეისათვის აქვთ ინფორმაციულად მრავალფეროვანი და საინტერესო საინფორმაციო პორტალები, რომლებიც ამომწურავ ინფორმაციას იძლევიან მუნიციპალიტეტის შესახებ. საინფორმაციო ვებგვერდებმა მუნიციპალიტეტებს საშუალება მისცა, მათი საქმიანობა უფრო გამჭვირვალე გახადონ, გაავრცელონ ინფორმაცია პოტენციური ინვესტორებისათვის. აქ ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, ბუნებრივი რესურსების, ტურიზმის, კულტურის, ისტორიის, ბიუჯეტისა და სხვა მრავალი დეტალის შესახებ.

გთავაზობთ საინფორმაციო პორტალების მისამართებს, რომლებიც უკვე აქტიურად მუშაობენ ინტერნეტსივრცეში:

www.kobuleti.org.ge
www.khelvachauri.ge
www.keda.ge
www.shuakhevi.ge
www.khulo.ge .

### რეგიონალური კონფერენცია

სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობის დასრულების შემდეგ, 2012 წლის 1 ივლისს, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ გამართავს რეგიონალურ კონფერენციას თემაზე: „აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება – გამოწვევები და პერსპექტივები“, რომელზეც მოწვეული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე: აჭარის არ მთავრობა, უმაღლესი საბჭო, აჭარის არ სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და აკადემიური სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

კონფერენციის ძირითადი მიზანია, დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოებას დეტალური განხილვისათვის წარუდგინოს სამიზნე მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიული გეგმები.

კონფერენციაზე გაიმართება დებატები მუნიციპალიტეტების როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და კულტურული ინტეგრაციისა და ბიზნესის მოზიდვის საკითხებზე: თუ როგორი უნდა იყოს შიდამუნიციპალური და მუნიციპალიტეტთაშორისი კავშირები, როგორ უნდა გახადოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ საკუთარი საქმიანობა უფრო ეფექტური და ხარისხიანი, როგორ გახდეს საცხოვრებელი პირობები უფრო მიმზიდველი, როგორ გაუმჯობესდეს მძიმე სოციალური ფონი და ა.შ.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის "აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 241650, ფაქსი: 241640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge

მასალა განთავსებულია სარეკლამო ფართობზე. გამოქვეყნებული ტექსტის შინაარსსა და სიზუსტეზე გაზეთი „ბათუმელები“ პასუხისმგებელი არ არის